



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობიღ ბუჭე-
უღბი სიფყვას, ფყუილუბით და ჭბბბბით ბუბ-
თის გაცანა ყუულა უუბბბბბბბბუ უსბბბბბბბბ.



ბაგოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 11 იანვარი. 2024 წ. №4 (9684) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

რას მოელოდნენ „ოცნება“ „განადგურებული“ ოპოზიციისგან?!

მაინც რა ცდუნებაებია ასეთი, ირაკლი დარჩიბაშვილსა და ირაკლი კობახიძეს ბიძინასგან დასვა რომ სჭირდებათ?!



ბიძინა ივანიშვილს არასდროს დაუშვია, რომ პროცესები ფარდის მიღმა ემართათ...

ბადახალეთი ვეროკავშირის სტრუქტურებს – არიან
აღაბიანებო მმართველობაში, მაგრამ არაგინ არასა-
დროს ფინანსურ რესურსს ნეგატიურად არ იყენებს,
მით უმეტეს, მიძინა ივანიშვილი. დიდ ფინანსურ
რესურსზე თუ არის საუბარი, გაიხსენეთ „ლელო“,
დავით კეგელიაშვილი უმველემელი თანხებით, რო-
მელიც საქართველოს ბიუჯეტიდან აქვს მოპარუ-
ლი. მიძინა ივანიშვილის დიდი ფინანსური რესურსი
პოლიტიკური სპეკულაციებისთვის გამოიყენება, მაგ-
რამ ამ დიდი ფინანსური რესურსის უკან არის პო-
ბიტიური პროექტების უმველემელი ჩამონათვალი,
რაც მან საქართველოსთვის გააკეთა. ვერ მომიყ-
ვანთ ვერცერთ მაგალითს, როცა თავის გამგე-
ლობაში დიდი ფინანსური რესურსის არსებობა ნე-
გატიურად იყოს დახასიათებული.
გიორგი ვოლსკი

აკადემიკოსი
გივი
ჯაფარიძე
- 80 ⑤

გამორეანილი მეცნიერი და სამაგალიტო ორბანიზატორი

თეიმურაზ შორიძე:

ქართული ენა ⑥ უფსკრულისკენ მიექანება...

მოსდა დაჭრა ფუხების მიმართულებით!

ონკოპასიენტებისთვის მედიკამენტების გასემა დაიწყო

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრ-
ცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, საყოველთაო
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ჩართული პა-
ციენტები, შვეიცარიული კომპანიის მიერ წარმოე-
ბული მედიკამენტების საჭირო რაოდენობას, უფასოდ
იღებენ.
„13 დასახელების ძვირადღირებული ონკოლო-
გიური მედიკამენტები სახელმწიფომ მსოფლიოს
წამყვან ფარმაცევტული კომპანიისგან, პირდაპირი
შესყიდვის გზით, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად
შეიძინა, შედეგად ჯანდაცვის სამინისტრო, პაცი-
ენტებს მაღალი ხარისხის მედიკამენტებით სრუ-
ლად უზრუნველყოფს. ონკოლოგიური ფარმა-
ცევტული პროდუქტის შესასყიდად, ჯანდაცვის
სამინისტრომ, ხელშეკრულება უკვე გააფორმა
მსოფლიოს წამყვან კიდევ ერთ ფარმაცევტულ
კომპანია „ნოვარტისთან“. უახლოეს მომავალში,
პაციენტები, დამატებით 8 დასახელების მედი-
კამენტს, მიიღებენ.
ასევე, გაფართოვდა ქრონიკული მედიკამენ-
ტების სია და გაიზარდა პროგრამის ბიუჯეტი,
რომლის ფარგლებშიც 400 000-მდე მენეფიციარს,
ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედი-
კამენტები სრულად უფინანსდებათ.

ვანო ჩხიკვაძე:


მიერთვი, ყველა მარცვალი, ღმერთმა შეგარგოს, ჩიტო!

ივ. 7 83.

პოლიტიკური მდებარეობა ქვეყნის ბრძოლაში

პოლიტიკაზე მთავარი-მთავარი დასკვნების ურთიერთობა რომ ყველაზე მაღალ სივრცეში გამოვლინდეს, მიზანმიმართული, ქვეყნის დამამაინებელი „ნაბრევის“ საჯარო სივრცეში გამოვლინდეს, ამ ურთულეს, ფეთქებადსაშიშ გეოპოლიტიკურ გარემოში, დროა, კანონის ძალით, პასუხისმგებლობა ავტორსას და გამაგრებას დაეძახოს. წინასწარ ვაცხადებ, თვალსაზრისით პროგნოზს – ოქტომბრის აქამდე – არ მივიღებ.

არის ასეთი „პოლიტიკური ექსპერტიზა“, სანდრო თვალსაზრისით. ადრე ეკონომიკის ექსპერტად რომ გვევლინებოდა, იმ სანდროზე საუბარი. ნაბრევის დასაწყისში „სტაპკის“ დამლაშება „საქართველოს მემორუმის“ კონკრეტულ რეკომენდაციებში „ქვეყნის ეკონომიკაზე დაწერილი შენი ნაშრომები ვის რაში აინტერესებს, მიდი, პოლიტიკის მიმართ“ „პოლიტიკისა მე რა გამოგება, ამ სფეროსთან ახლოსაც არ ვარ ჩავლილი“ – ყოველი შემთხვევისთვის გაითვალისწინებ სანდრო. „ეს სწორედ ის მიმართულებაა, ჩვენო სანდრო, სადაც თუღანა შედგენილი ტვირთიყააო, ანუ შენი გვინის გამოტყუებაზე დრო არ დაგვეკარგებაო. ჩვენ საქმეში მთავარი კარგებაა და კოჭუბაში ბაქოში, მთავარი „მეგობრები“ ვინაა უნდა იყო“.



უსამართლო არსება

რომ ვერავის შეარჩევ, მართლა მაგრად უმუშავია „ქართულ ოცნებას“.

უვიცობის გამოაშვარავებ იოლი საქმეა. რასაკვირველია, ამით დაქინავეულ უცოდინრებს დისკომფორტს ვერ შეუქმნი, რადგან ჯერ შუბლის ძარღვის გაწყვეტა ხდება და მერე დავალებების შესრულება. მაგრამ, მეორე მხრივ, უზნებობის მხილება ქვეყნისა და მშვიდობის საღარაჯოზე მდგომი დიდი ერთობის მავონსოლიდინებელი ძალა აქვს.

ინტერვიუში, სადაც ხსენებული „ექსპერტი“ ბატონი ბიძინა პოლიტიკაში დამრუნებას „აფასებს“, ერთ-ერთი „მომაკვდივინებელი დასკვნა“ არის ის, რომ „ოლიგარქი“ – „წინასაარჩევნოდ ფიქრობს, რომ პარტიის ამუშაინდელ თავმჯდომარეს არა აქვს საკმარისი ორგანიზატორული შესაძლებლობები, და ამაში ნამდვილად არ ცდება“.

დამეთანხმებით, „ექსპერტულ შეფა-

სებში“ მთავარი სიტყვებია – „და ამაში ნამდვილად არ ცდება“.

ქვეყნის მოქმედი კონსტიტუციის ავტორისა და მმართველი პარტიის თავმჯდომარის უდიდეს მოხსენებებში, ამ და სხვა ნათქვამიდან ამოღებულემის მხრიდან, ბოლო დროს, სისტემატური ხასიათი შეიძინა. ქვეყნის პირველი პირების მიმართ ამგვარი დამოკიდებულების არგატარება ყველა უსამართლოსთვის კუთვნილი ადგილის მიჩენის უმარტივესი საშუალებაა. კონკრეტულ შემთხვევაში, მოწინააღმდეგეთა ბანაკის „აზრის გვიანტემისთვის“ ცივი შხაპის პროცედურას ახლო წარსულში ერთი მოკლე ექსკურსის ფორმა ექნება:

ირაკლი კობახიძე 2015 წელს გახდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მმართველი. 2016 წლის არჩევნებიდან მოყოლებული, მისი, როგორც საარჩევნო შტაბის უფროსის ხელმძღვანელობით, „ოცნებამ“ მოიგო ხუთი სხვადასხვა დონის არჩევნები, თანაც, ყველა

დიდი უპირატესობით. განსაკუთრებით რთული იყო 20-21 წლებში, როდესაც გლობალური ომის პარტიამ გამოაცხადა სრული მობილიზაცია არჩევნებზე მიმზადებული ამზის ორგანიზების მიზნით.

ანტისახელისუფლო პროცესს დიად ხელმძღვანელობდა ორი „მეგობარი“ ელჩი და მასში ჩართული იყო თვით ევროკავშირის პრეზიდენტი, დემოკრატიული სამყაროსთვის მანამდე უცნობი, „ორიგინალური“ ინიციატივებით (43%-იანი ბარიერით ადგილობრივი არჩევნების საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან მიმართა)?!. ანტიქართული ისტერიის მონაწილეები მათ გარდა ვახდენენ: ევროპარლამენტის თითქმის სრული შემადგენლობა, ევროკავშირის ადმინისტრაციის სტრუქტურის წამყვანი პირები, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ძირითადი შემადგენლობა, ომში მყოფი უკრაინის (იმხანად გმირებად შენაცხული) ხელისუფლება და სხვა მრავალი.

ერთი მხრივ, „ოპოზიციასთან“, საეჭოროებთან, ევროკავშირის წარმომადგენლებთან მთავარი მომლაპარაკებელი და მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ირაკლი კობახიძე გახლდათ. „ისფედის“ პროვოკაციიდან მოყოლებული, ყველა ეტაპი, ჭაღრაკის ენაზე რომ ვთქვათ, დემიუტიც და მიტელშილიც, „ოცნების“ გუნდის მიერ წარმატებით იქნა გაყოლილი, ხოლო ენდშილში ჩატარებული ლამაზი კომპინაციით, ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმების ანულირებითა და საარჩევნო პროცესის მაღალ დონეზე წარმმართვით, მოწინააღმდეგე აღმოჩნდა 47%-იანი შამათის მდგომარეობაში.

ისევ ჭაღრაკის ენას დავესვსებში - ესეც თვალსაზრისითა და მისნაირებისთვის, ირაკლი კობახიძის „ორგანიზაციული შესაძლებლობებთან“ დაკავშირებით ორ მოკლე ამბავში ჩასმული „ძეგვი მათი“ (!).

მე, სანდრო, სანდრო... ასეთ მოკლეფიხიან რომ დააგრძელებს სამოცდაათი წელს გადამცილებული კაცი... შეიძლება ყველაზე უნამუსო დავალებების შესრულებაზე გქონდეს ხელი მოწერილი, მაგრამ... მისი შესაძლებლობების შეფასებაზე განვიხილავს, იმის შეასაღი ხომ უნდა გქონდეს გაკეთებული იმ საქმეში და იმის შეასაღი ცოდნა მაინც ხომ უნდა გიმარგებდეს გურგს?

მკითხველს შეუძლია წინა ამბავი რომანტიულ გადახვევად ჩამითვალოს. დიდაქტივა და შეგონებები ჩემი სტილი არ არის. როცა საქმე ქვეყნის ინტერესებს ეხება, უფრო „პროზაული“ დასკვნების მომხრე ვარ ხოლმე, მითუმეტეს მაშინ, როცა ასე თვალსაჩინოა ჩემი რისხვის აღრესატის მდებარე ქვეყნის ინტერესები – „ექსპერტი“ თვალსაზრისით ერთი უსამართლო, სულგაყიდული არსებაა.

ბიძინა დვალი

05.01.2024 წ.

(გაბრძობა მორიგ მომარში)

ჰოდა, გლობალური ომის პარტიის თბილისის შტაბიდან რიხინ-რიხინით წამოვიდა „ოლიგარქის გადღეობის-გან ქვეყნის გადარჩენის“ მესიჯბოქსები. „ის“ კანონი რომ მიგველო, ხომ ვიტყვოდ, ავერტი სანდრო-მეთქი, მაგრამ ოფიცური დეგანის კალთას ამოფარებულს, იძულებული ვარ, ექსპერტად წოდებულ სანდროთი მივმართო. მაშ ასე, ამ ექსპერტად წოდებულის ბოლო პერიოდის „დასკვნებიდან“ იკვეთება, რომ მისი მესიჯბოქსის ძირითადი თემებია დიდი გლობალური მიზნების ნომერ პირველი მტრის, „ოლიგარქი“ ივანიშვილის და ნომერ მეორე მტრის, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის სხვადასხვა ფორმით „მხილება“. (ისე, ჩვენში დარჩეს და... თვალსაზრისით, ზაქარაიშვილის, დ. ზურაბიშვილის, ხუბაშვილის, ძამბინაძისა და სხვა მათი მსგავსი პოლიტიკური ცვლდების გარდა, „საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებისთვის“ სხვას

მე, სანდრო, სანდრო... ასეთ მოკლეფიხიან რომ დააგრძელებს სამოცდაათი წელს გადამცილებული კაცი... შეიძლება ყველაზე უნამუსო დავალებების შესრულებაზე გქონდეს ხელი მოწერილი, მაგრამ... მისი შესაძლებლობების შეფასებაზე განვიხილავს, იმის შეასაღი ხომ უნდა გქონდეს გაკეთებული იმ საქმეში და იმის შეასაღი ცოდნა მაინც ხომ უნდა გიმარგებდეს გურგს?

ჯარიმები უზველის თავბასულ გუნდებს?

თბილისის მერიაში მდინიკალი-ტვივის 2024 წლის მთავრობის პირველი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და საახალწლო დღესასწაულის შემთხვევაში მონაწილე პირებს მადლოება გადაუხადა.

„2024 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 7 იანვარს დასრულდა, რომელიც 23 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა. მინდა, გავხულო შრომისთვის მადლოება გადავუხადო თბილისის მერიის თითოეულ თანამშრომელს. განსაკუთრებულ მადლობას იმსახურებს თბილისის მუნიციპალური ინსპექციის 60 თანამშრომელი, რომლებიც საახალწლო ღონისძიებების ლოკაციებზე მუდმივ რეჟიმში წესრიგის,

უსაფრთხოებისა და პიროტექნიკის გამოყენება-რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს უზრუნველყოფდნენ. მადლობას ვუხდენ „თბილისის მერიის თანამშრომლებს, რომლებიც ნომერის დასაწყისიდან დედაქალაქის მორთვასა და გალამაზებაში არიან ჩართულნი, საახალწლო ღონისძიებებ-

ბის ადგილებში კი სისუფთავისა და განათების გამართულობას მუდმივად უზრუნველყოფენ“, – განაცხადა კახა კალაძემ. თბილისის მერმა „საახალწლო სოფლის“ შენებაში მიზნებს სექტორისა და კონცერტში მონაწილეების მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. „საახალწლო სოფლის“ შენე-

ბაში გაწეული უდიდესი წვლილისთვის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „საქართველოს მანკი“, „კოკა-კოლა“ და „ვისოლ ჯეფი“. მადლობა უნდა კომპანიებისა და მიზნებს სექტორის წარმომადგენლებს, რომლებმაც ქალაქის მთავრობასთან ერთად, საახალწლო ღონისძიებების იერსახის შექმნაზე იზ-

რუნეს. მადლობა მიხატან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციას თანამშრომლობისთვის, წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. მადლობა მედიის წარმომადგენლებს მიმდინარე ღონისძიებების ყოველდღიური გაშუქებისთვის. ღონისძიებებში წელს ათასობით ადამიანი მონაწილეობდა: მუსიკალური ჯგუფები, გუნდები, საბავშვო სტუდიები, ცეკვისა და სიმღერის ანსამბლები, საესტრადო შემსრულებლები, ანიმატორები და სხვა. წელს განსაკუთრებულად დიდი ინტერესი იყო საახალწლო მაზარში მონაწილეობაზე. ამ 23 დღის განმავლობაში, ჯამურად წარმოდგენილი იყო 289 მეწარმე და 164 კვების ობიექტი“, – აღნიშნა კახა კალაძემ.



06. 11 83.

საქართველოს რესპუბლიკა

როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მსაგებ მოსვლის მიზნებს განმარტავდა, თქვა, რომ ოპოზიცია „განადგურებულია“ და სწორედ ამ ფონზე სჭირდება „ქართულ ოცნებას“ მისგან შველა და ცდუნებაებისგან დაცვა.

ოპოზიციის განადგურებაზე ლაპარაკთან ერთად, „ქართული ოცნება“ კვლავ მსჯელობს ამავე ოპოზიციისგან „ბარი მფარველების“ დახმარებით მოსალოდნელ საფრთხეებსა და „რეპოლუციური სენარის“ გაბრკალების შესაძლებლობაზე.

ეს თემა თავდაპირველად „ოცნების“ განაცხადში „ხალხის კალამ“ გახსოვდა მალევე, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ, ივანიშვილის გამორჩენად.



რას მოქმედებს „ოცნება“ „განადგურებული“ ოპოზიციისგან?!

მაინს რა ცდუნებებია ასეთი, ირაკლი ღარიბაშვილსა და ირაკლი კობახიძეს ბიძინასგან დასვა რომ სჭირდებათ?!

მაინს რას მოქმედებს „განადგურებული“ ოპოზიციისგან?

„ქართულ ოცნებაში“ სრულად ეთანხმებიან ბიძინა ივანიშვილის შეფასებებს, რომ პარტიის მისი დახმარება სჭირდება – ოპოზიციის განადგურებისა და კრახის ფონზე და, რომ ამ ვითარებაში გუნდი შეიძლება კორუფციულ ცდუნებებსაც აპყვეს.

მართლაც რომ ითქვას, ბიძინა ივანიშვილი აპირებს, რომ მმართველი პარტია ოპოზიციის ნაცვლად გააკონტროლოს, – ვინაიდან ოპოზიცია „განადგურებულია“, – და მასადავს, ოპოზიციის როლი ერთმა კაცმა შეითავსოს. თუმცა „განადგურებული“ ოპოზიცია „ოცნებისთვის“ უმოდროს, უმოქმედოსა და გაჩუმდეს არ ნიშნავს. მმართველ გუნდში კვლავ არეულობის მცდელობებსა და რეგულაციურ სცენარზე ლაპარაკობენ.

„2024 წელი გამოწვევებით იქნება სავსე, რეგიონში არსებული ვითარებიდან, ოპოზიციის სრული კრახიდან გამომდინარე... ამ კრახის საფუძველზე, ერთადერთი, რაც მათ დაწინაურდა, ეს არის მდგომარეობის რადიკალიზაცია... ვხედავთ მათ მფარველებს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ... მცდელობა იქნება ამ წელსაც, რომ ძირითადი გამოუთხარონ ქართულ დემოკრატიას, ძირითადი გამოუთხარონ სახელმწიფო ინსტიტუტებს, ებრძოლონ საქართველოს, მის რეპუტაციას, რასაც ჩვენ ბოლო 2 წლის განმავლობაში ვხედავდით“, – უთხრა ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილმა. ოპოზიციის ამ განზრახვის საპირწონედ და „მტრის ჯინაზე“ გამარჯვების მისაღწევად, პაპუაშვილი ხედავს „საზოგადოების კონსოლიდირებას“ ისევე ბიძინა ივანიშვილის მიერ.

შალვა პაპუაშვილის თქმით, ოპოზიციის მიზანია „საზოგადოება მუდმივად ჰყავდეთ მღელვარების და შფოთვის მდგომარეობაში“ და „მთელი საზოგადოება ნერვებზე იყოს“.

„ქართული ოცნების“ აღმასრულებელმა მდივანმა, მამუკა მდინარაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში, 30 დეკემბერს, თქვა, რომ 2024 წელს ოპოზიცია მაქსიმალურად შეეცდება „რეგულაციური დღის წესრიგის“ შექმნას, „ამის თავს მოხვევის მცდელობები იქნება მთელი წელი, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში“. სხვა საკითხია, რომ მისი შეფასებით – ეს იქნება „უმედოვანი მცდელობები... იმდენად ქვემოთ არიან წასული“.

ოპოზიციისგან მომავალ საფრთხეებთან დაკავშირებით – მსგავს მესიჯებს ავრცელებდა „ოცნების“ განაცხადი – „ხალხის ძალა“ რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ სცენაზე ისევ გამოჩნდებოდა.

დეპუტატმა გურამ მაჭარაშვილმა 22 დეკემბერს განაცხადა, რომ „2024 წლიდან აუცილებლად გაგრძელდება პროვოკაციები“, „სახელმწიფო ინსტიტუტების დისკრედიტაცია“ და მისი გუნდიც განაგრძობს საერთაშორისო პარტნიორობის „მხილებას“, რადგან „დაუძინებელი მეგობრები“ ისევ ფიზიკურად.

„მაღალი ალბათობით, არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ან არჩევნებიდან რამდენიმე დღეში „გლობალური ომის პარტია“ უზრუნველყოფს, რომ ევროკავშირისგან გასცეს უარყოფითი რეკომენდაცია საქართველოსთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხზე, ხოლო თუ ოპოზიციამ დეკემბრის შუა რიცხვებამდე მცირე მუხტი მაინც შეინარჩუნა – ევროპულ სამტოსაც ათქმევინებენ უარს მოლაპარაკებების გახსნაზე“, – წერია „ხალხის ძალის“ მიერ 21 დეკემბერს გამოქვეყნებულ წერილში.

ოპოზიციის ბაზა და შანსები

„ნაციონალურ მოძრაობაში“ არ ესმით, როგორ შეიძლება ერთდროულად – ოპოზიცია განადგურებული იყოს და რეგულაციის ჩანაფიქრის ამოძრავებდეს.

„ივანიშვილმა თქვა, რომ 2018 წელს პოლიტიკაში რომ არ დამრუხებოდა, ერთ თვეში „ოცნება“ აღარ იარსებებდა და ახლაც, გუნდში დაპირისპირების, პრობლემების გამო უწყვეტ დამრუხება... ღმერთმა გაუმარჯოთ საკუთარ პრობლემებში და საკუთარ დაპირისპირებაში. ვინ არის სუსტი – თავად ივანიშვილის სიტყვიდან გამომდინარე... არალოგიკურია ლაპარაკი იმაზე, რომ ოპოზიცია განადგურებულია და თან, თუმცა – დისტრუქციული გეგმები აქვს“, – გვეუბნება „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსამტოს წევრი, ნიკო მამუკაშვილი და აღნიშნავს ასევე, რომ „ოპოზიციას აქვს მშვიდობიანი, საარჩევნო გეგმები და 2024 წელს მშვიდობიანად შეეცდეს ხელისუფლებას“.

ნიკო მამუკაშვილის განმარტებით, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ მიერ ჩამოყალიბებული „გამარჯვების პლატფორმა“ გადავიდა „შტაბური მუშაობის რეჟიმზე“ და ხალხის მაქსიმალურად შემოკრებას გეგმავს.

პოლიტიკის ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბრავაძე გვეუბნება, რომ ოპოზიცია „განადგურებული არ არის“, „ეს კარგად იცის თავად ბიძინა ივანიშვილმა“ და პოლიტიკაში მისი გამოჩენა გარკვეულწილად ამახსნავს გამოიწვიან, „რათა (არჩევნებისთვის) წინასწარ თადარიგი დაეჭირა“.

„ოპოზიცია ახლა დაშლილი და ფრაგმენტირებულია, მაგრამ საკმარისია ოპოზიცია გადაჯგუფდეს, მეტ-ნაკლებად მისაღები, ერთიანი პროგრამა დადოს და „ქართული ოცნება“ 2024 წლის არჩევნებს ვერ მოიგებს. რეალურად არსებობს პოტენციალი, რომ ოპოზიციამ, ჯამურად, „ქართულ ოცნებაზე“ მეტი მანდატი აიღოს. მაგრამ თუ დღევანდელი მდგომარეობა დანგრება, გამარჯვების მეტი შანსი „ქართულ ოცნებას“ ექნება“, – ეუბნება მახტანგ ძაბრავაძე რადიო თავისუფლებას და ამბობს, რომ „(კვლევების თანახმად) ამომრჩევლის 2/3 დღეს ოპოზიციურად არის განწყობილი“ და მაშინ, როცა ოპოზიციას ამომრჩევლის მაქსიმალურად მობილიზების შანსი აქვს, „ქართული ოცნებას“ მხარდამჭერთა რიცხვის ზრდის პერსპექტივა საერთოდ არა აქვს“ და „ამას ივანიშვილის მოსვლა ან წასვლა არ უშველის“.

თუკი ოპოზიციური პარტიები გაერთიანებას გადაწყვეტენ, ძაბრავაძის შეფასებით – ტექნიკური საკითხები იოლად მოსაგვარებელი იქნება და „ბლოკების აკრძალვა და სხვა საკანონმდებლო აკრძალვები მათ პრობლემებს არ შეუქმნის“, რადგან, დროებით, პოლიტიკოსებმა შესაძლოა სრულიად უმტკივნეულოდ, თავიანთი პარტიების სახელები დატოვონ.

ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების დიდი ნაწილი ამჟამად აცხადებს, რომ – 5%-იანი ბარიერისა და ბლოკების აკრძალვის მიუხედავად, არჩევნებზე დამოუკიდებლად აპირებს მონაწილეობას.

ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნების“ რეიტინგი დღეს 60%-ს უტოლდება და დღევანდელი „ქართული ოცნება“ საპარლამენტო არჩევნებზე, წინასწარჩვენო კამპანიის გარეშე კი აიღებდა 90-100 სადეპუტატო მანდატს.

რამდენიმე კვირის წინ, როდესაც „ალტ-ინფოს“ რადიკალური

პრორუსული ჯგუფი და მისი „კონსერვატიული მოძრაობა“ „ქართულ ოცნებას“ (ევროკავშირის დროშის დაწვის საქმეზე თანამოაზრის დაკავების გამო) დაუპირისპირდა და მმართველ პარტიას არჩევნებში დამარცხება უწინასწარმეტყველა, ლიდერებმა „ოცნებას“ თავისივე ლოგიკა შეუტრიალეს და თქვეს, რომ – თუკი მმართველი პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტებისა და განადგურების შესახებ იწყება, მათი ლოგიკით, აღარც „ოცნების“ მხარდამჭერთა ის არგუმენტი არსებობს, რომ „კი, აი, ანუ მე მომწონს „ოცნება“, მაგრამ „ნაცების“ საფრთხე ხომ არის და სხვას იმხელა რეგულაცია არა აქვს, რომ „ნაცების“ საფრთხე განაიტრიალოს“.

„თავითონ ამომრჩეველნი (ნაციონალური მოძრაობა) განადგურდათ... „ნაცებს“ თუ დაერხათ, თუკი „ნაცები“ ვეღარ მოდიან (ხელისუფლებამ), ის ფაქტორი, რომ მოდიან – „ოცნება“ შევინახოთ – 2032 წლამდე... ჩვენ ვიქნებით (2032 წლამდე), კალაქში რომ თქვა... ვის რა ჩემს ფეხებზე უნდა „ოცნება“ მაშინ – თუ ასე დგება საკითხი?“, – თქვა შოთა მარტინიძემ „ალტ-ინფოს“ ეთერში, გასული წლის მიწურულს.

„კონსერვატიულმა მოძრაობამ“ და მისმა ტელევიზია „ალტ-ინფო“, 2023 წლის სექტემბერში, „ანტიმიდანი“ დააანონსა, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური საქართველოში „მაიდის სცენარის“ დაგეგმვაზე ალაპარაკდა. პრორუსული ჯგუფმა ხალხის ინფორმირების მიზნით რეგიონებში შეხვედრები დაგეგმა და ფულადი სახსრების შეგროვება დაიწყო. შემდეგ კი განაცხადეს, რომ ეს საფრთხე ამ ეტაპზე მოიხსნა.

ექსპერტებმა რადიო თავისუფლებას არაერთხელ უთხრეს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ხელისუფლება მუდმივად მიუბრუნდება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში სხვადასხვა დროს აღძრულ საქმეებს, რომლებსაც, უკვე მრავალი წელია, კონკრეტული შედეგი და საგარეულო დამანაშავეების დასჯა არ მოჰყოლია.

2023 წლის 18 სექტემბერს სუსმა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმად, „საქართველოში ოქტომბერ-დეკემბერში იგეგმებოდა სამოქალაქო არეულობის მოწყობა და დესტაბილიზაცია, რომლის მიზანაც, ხელისუფლების ძალადობრივი გამო შეეცვლა“ იყო. გამოკითხვაზე დაიბარეს არაერთი პირი და მათ შორის – ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები.

„სცენარია არეულობა, რეგულაცია და საზოგადოებრივი მიზანი, ყველამ ვიცით, მეორე ფრონტი, რომელსაც ვერ მიაღწევს 2022 წლიდან, როდესაც უკრაინაში დაიწყო ომი“, – თქვა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძემ 2023 წლის ოქტომბერში, სუსის მიერ გამოძიების დაწყების შემდეგ.

2024 წლის 8 იანვარს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში რადიო თავისუფლებას უთხრეს, რომ „აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები“.

ლელა კუნჭულია, რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.

ვაკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გივი ჯაფარიძემ დიდი ხანია მოხვეჭა აღიარებული და გამოჩენილი მეცნიერის სახელი; განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა სატყეო მეურნეობისა და სატყეო საქმის ეკონომიკის სფეროში. დაბეჭდვით უნდა ითქვას, რომ იგი ამ დარგში საქართველოში ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერია.

ბატონი გივი დაიბადა 1944 წლის 6 იანვარს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1950 წელს სასწავლებლად შევიდა ქ. თბილისის პირველ საშუალო სკოლაში, სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1961 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის საავტო კომბინატში ჯერ მოსწავლედ, შემდეგ ფანერის ამწობად. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსრულებელი სწავლების განყოფილების სატყეო მეურნეობის ფაკულტეტზე

1962-1964 წლებში სწავლის პარალელურად მუშაობდა ტრესტ „თბილმშენიანდუსტრიაში“ მემონტაჟედ, ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელად. 1964 წლის სექტემბერში სასწავლებლად გადავიდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დღის სწავლების განყოფილების სატყეო მეურნეობის ფაკულტეტზე, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1967 წელს – სატყეო მეურნეობის ინჟინრის კვალიფიკაციით.

1966-67 წლებში სწავლის პარალელურად მუშაობდა ქ. თბილისის ვაკის (ყოფილი ორჯონიკიძის) რაიონის მოსწავლეთა სახლის დირექტორად.

ბატონმა გივიმ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, გამოავლინა ანალიტიკური აზროვნების უნარი, დიდი ორგანიზატორული ნიჭი, დაკისრებული საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობა, რაც მოვლენებით ნათლად აისახა მის მრავალფეროვან შრომით საქმიანობაზე.

ბატონი გივი, 1967-78 წლებში მუშაობდა საქართველოს ალკვ ქ. თბილისის ორჯონიკიძის (ამჟამად ვაკის) რაიკომის ინსტრუქტორად, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, საქართველოს ალკვ გარდაზნის რაიონული კომიტეტის პირველ მდივანად, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილედ, საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ.

1975 წელს დაუსრულებლად დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მეტეოროლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურა.

1978-85 წლებში არჩეული იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდივანად. ამასთან ერთად, 1978 წლიდან 1996 წლამდე შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, შემდგომში აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ეკონომიკისა და ტყის ტექსტილის კათედრაზე უფროს მეცნიერ მუშაკად, მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად, სრულ პროფესორად.

მუშაობის პარალელურად 1981 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსრულებელი სწავლების განყოფილების სამართლისმცოდნეობის ფაკულტეტი - იურისტის კვალიფიკაციით.

1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1985 წელს დოცენტის სამეცნიერო წოდება.

1985-1996 წლებში საკავშირო სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, დაინიშნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (შემდგომში აგრარული უნივერსიტეტი) პრორექტორად ჯერ სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო შემდგომ პირველ პრორექტორად სასწავლო დარგში.

1988-1992 წლებში სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის ბრძანებით დანიშნული იყო სპეციალიზებული საბჭოს თავმჯდომარედ.

1992 წელს მისი უშუალო მონაწილეობით საქართველოში პირველად შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭო, რომელიც ამჟამადაც წარმატებით ფუნქციონირებს.

ბატონი გივის ბიოგრაფიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს 1990-91 წლებში სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის რეგიონული განყოფილების საერთო კრების 1990 წლის 16 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე მისი არჩევა ამიერკავკასიის ამ განყოფილების პრეზიდიუმის წევრად.

1992 წელს ბატონ გივის მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1995 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1992-1995 წლებში არჩეული იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული მიმართულების სამეცნიერო დაცვის საბჭოს თავმჯდომარედ.



გამორჩენილი მესნიერი და სამაგალიტო ორბანიზატორი

აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე - 80

1999-2003 წლებში იგი იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაკონომიკური მიმართულების სამეცნიერო დაცვის საბჭოს წევრი. მისი როლზე საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ინფორმაციით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს სამთავრობო პროგრამა - „საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები“ და მსოფლიო ბანკის პროექტი - „საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების ეროვნული პროგრამა“.

პროფესორი გივი ჯაფარიძე 1995 წლის 3 მაისს აირჩიეს საქართველოს აგროტექნოლოგიური აკადემიის წევრად, 1995 წლის 5 ივლისს საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (აკადემიკოსად), ხოლო 1996 წლის 29 მარტს საქართველოს მიხეილის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

საქართველოში სატყეო დარგის განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული აკადემიკოს გივი ჯაფარიძის სახელთან. ამის ნათელი დასტურია ის, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 31 იანვრის №136 ბრძანებულებით იგი დაინიშნა საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობდა 2002 წლის აგვისტომდე.

ბატონი გივი არის საქართველოს კანონის „საქართველოს ტყის კოდექსის“ (1999 წელი) თანაავტორი.

ბატონი გივი 1998-1999 წლებში იყო გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ტყის მენეჯმენტის, ტექნოლოგიების და ტრენინგების სამეთვალყურეო საბჭოს წევრი საქართველოდან (ქ. უენეცია). მისი დამსახურებაა, რომ დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში აქტიურად ფუნქციონირებს ქვეყნისათვის სასიცოცხლო დარგის - გარემოს დაცვისა და სატყეო საქმის სამეცნიერო განყოფილება.

1998 წლის 6 აპრილს იგი აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2002 წლის 18 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად (ნამდვილ წევრად).

2004 წლის 21 აპრილს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მთავარ აკადემიკოს-მდივანად და აკადემიური საბჭოს წევრად. 2015 წლის მაისიდან აკადემიის საერთო კრების მიერ

არჩეული იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. 2023 წლის მაისში აირჩიეს აკადემიის პრეზიდენტად და აკადემიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ, სადაც მუშაობს დღემდე.

აკადემიკოს გივი ჯაფარიძის მეცნიერული დამსახურების აღიარებას მოწმობს ისიც, რომ იგი გახლავთ არაერთი ადგილობრივი და უცხოური სამეცნიერო ურუნალ-გაზეთების რედაქტორი, სამეცნიერო საბჭოსა თუ რედაქციის წევრი. მათ შორისაა: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთაშორისო სამეცნიერო შრომათა კრებული „მოამბე“, სამეცნიერო-საინფორმაციო ურუნალი „აგრარული საქართველო“, უკრაინის, ქ. ვინიციის ეროვნული აგრარული უნივერსიტეტის სამეცნიერო ურუნალი „აგრარული მეცნიერება და ვეების ტექნოლოგიები“ და სხვა.

აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე 2014-2017 წლებში გახლდათ - „კლიმატის ცვლილების გავლენა ვაზის განვითარებასა და მოსავალზე საქართველოში (ვახეთი) - პროექტის ხელმძღვანელი.

2019 წლის დეკემბერში იგი აირჩიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საუნივერსიტეტო-სადისერტაციო საბჭოს წევრად.

აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე საკმაოდ პროდუქტიული მეცნიერია, გამოქვეყნებული აქვს 237 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, რომელთაგან უნდა გამოიყოს: წიგნი „გლობალური ბიომრავალფეროვნება“ ტომი II, ევროპის ქვეყნები - საქართველოს ბიომრავალფეროვნება (გამომცემლობა „ეიფლ აკადემიკ პრესს“ 2018 წ. ამერიკის შეერთებული შტატები 404 გვ.) თანაავტორი; სახელმძღვანელო- „მევენახეობა-აგროტექნოლოგია“ (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, თბილისი 2016წ.) თანაავტორი; სოფლის მეურნეობის გაძლიერების ტექნოლოგიური რეკომენდაციების ციკლის (27 წიგნი, გამომცემლობა „აგრო“, თბილისი 2016-2018 წ.წ.) თანაავტორი; დამხმარე სახელმძღვანელო - „სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საფუძვლები სატყეო მეურნეობის საწარმოში“ (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1991წ.) თანაავტორი; სატყეო-სამაგალიტო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტებისათვის სალექციო კურსის - „სატყეო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაცია დაგეგმვა და მართვა“ (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 1992 წ.) თანაავტორი; „საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია“ (აგრარული სექტორი-2020) (საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია 2014 წ.) თანაავტორი.

უნდა გამოიყოს აგრეთვე: საქართველოს სატყეო მეურნეობის განვითარების სტრატეგია; საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების სტრატეგია; მაღალმთიანი აჭარის ტყის შემქმნელ ძირითად ფორმაციებში ბუნებრივი განახლებისა და აღმონაცენ-მომარდის ფორმირების თავისებურებების შესწავლა (მონოგრაფია). მისი მეცნიერული პროდუქცია გამოირჩევა აქტუალობით, მაღალი მეცნიერული დონითა და პერსპექტიულობით.

აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე გამოირჩევა აგრეთვე დადებითი პიროვნული თვისებებით, გააჩნია პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა, პუნქტუალობა, ენუდირებულობა, ინტელექტუალობა, არის კარგი და სამაგალიტო ორგანიზატორი. საქართველოს მთავრობამ დინსეულად შეაფასა რა აკადემიკოს გივი ჯაფარიძის დამსახურება ქვეყნისა და ერის წინაშე დაეკადრებინა „ლინსეისის ორდენით“, ასევე „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“, მედლით „შრომის ვეტერანი“, სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს და ვერცხლის მედლებით, დაჯილდოებულია საპატიო ნიშნებით: „ოქროს თავთავი“ და „შრომითი წარჩინებისათვის“, სამკვერდე ნიშნით „თბილისის მეტროპოლიტენის მშენებელს“, ასევე საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს პროფკავშირების პრეზიდიუმის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და სხვა საპატიო სიგელებით.

აკადემიკოს გივი ჯაფარიძის ჯილდოებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია პატრიარქის მაღლობის სიგელს, რომელიც მას გადაეცა ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ხელშეწყობისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია გულითადად ულოცავს დინსეულ მამულიშვილს, აღიარებულ მეცნიერსა და სამოგადო მოღვაწეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს გივი ჯაფარიძეს 80 წლის საიუბილეო თარიღს და სამეცნიერო, პედაგოგიური და სამოგადოებრივი მოღვაწეობის 50 წლისთავს. უსურვებს ჯანმრთელობას და სივეთეს ლამაზ ოჯახთან ერთად, ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამოგადოებრივ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ამ საახალწლო კიდე ვერთხალ კალიან გოგადავ გავიხსენოთ, როგორ, რა ლექსებისა და გრაფიკული ფორმების გამოყენებით წერენ და მუშაობენ ჩვენი პოეტიკოსები, ე. წ. „სამოგალო მოღვაწეები“ და, რას ყველაზე გულსატკეპნი – ქართველი ქრისტიანობის. ღარფუნეპული ვარ, ამ მოხერხებულ ავტორი მაგალითი მითხვებით უმრავლესობის დაუქარაველი იქნება, მაგრამ გავიხსენებ, არაფერი გამოიშვინა. გავიხსენებთ პი არა, ბავრი მათგანის რამდენიმე თვითონას არ მჯერა. არადა, ბოლო დროს საკუთარი ყურით მოსმენილი და საკუთარი თვალით ნაკითხული ასეულთა ასეთი მაგალითი დამიბრძოლა. მათ უდიდეს უმრავლესობას, ბუნებრივია, ამ ვერ მოვიხვედრებ, მაგრამ რასაც წაიკითხავთ, სასწრაფოებისთვის სახსრებით საკმარისია – ქართული ენა უფსკრულსკენ მიექანება. გაღვწევიბა, ავტორები არ დაემორჩილებინა – ეს ხომ ჩვენი ვართ, ყველა ერთად, ღვინავანელი ქართველები!..

მოდი, ყველაზე უმცირესად მაგალითებით დავიწყოთ, მაგალითად, ასეთი:

„მთავარი 28 მარტის მხედრობიდან გადმოვარდა და დიდუბა“.

ეს ერთ-ერთი ამაყი საინფორმაციო სააგენტოს განცხადებაა. უფრო ზუსტად, ასე იწყება ინფორმაცია. თავიდან გიჩნდება კითხვა, რას უნდა ნიშნავდეს „მხედრობიდან გადმოვარდა“? მერე ერთი სული გაქვს გაიგო, რატომ გადმოვარდა რაღაც სიმბოლიდან ერთხელ 28 მარტის? ინფორმაციის სრულად გაყვანის შემდეგ კი გულგახეთქილი არკვევ, რომ თურმე მხედრობაზე, საერთოდ, მუშაობდა 28 კაცი. ხოლო თავისივე დაუდევრობისა და სამხედრო წესების უგულვებლყოფის გამო ერთი ადამიანი ხარაჩოვან გადმოვარდა და დიდუბა.

„ტაბულა შევდომავი შეყვანის გამო მკითხველს მოდიშს უხდის“. რა გვეთქმის იმის ვარდა, რომ დიდი მადლობა ძვირფასო „ტაბულა“, შევდომიდან გამოყვანის გამო.

„ქართველი ფეხბურთელი ტაქსის კითხით არანაირ პრობლემას არ განიცდის და, შესაბამისად, მისი გუნდის მიღება უდრის ნაკლებ ხანას გუნდის დასაბრუნებლად და იცავს ტაქსის დამოუკიდებლობას მფრთხისთვის თავის ასაგვევად“.

ქართველი ურნალისტიკის მიერ ქართული ასოებით დაწერილი ეს აბდაუბდა ქართულ ენაზე დაახლოებით ასე ითარგმნება: ქართველი ფეხბურთელი ძალიან ტექნიკურია. **„შეიძლება გავიგოთ, რომ მანამდე მას ჰქონდა პოლიტიკის დიდი უფლებები აქვს, მაგრამ ასაკის გათვალისწინებით, მას აქვს ძალიან მძიმე გამოცდილება საერთაშორისო ასპარეზზე“.**

ვალერანტი – ოცდამეერთე საუკუნის ქართული სპორტული ურნალისტიკის ამ იდეალურების ამოხსნა და მერე მისი ქართულ ენაზე თარგმნა ჩემს შესაძლებლობებს მეფრად აღემატება. სამწუხაროდ, ვერც შორეულ ვარსულს შემოვთავაზებთ – ვერ მივხვდი, რას უნდა ნიშნავდეს „კოლექციის დიდი შედეგი“ და რა კავშირშია ასაკის საერთაშორისო ასპარეზზე გამოცდილებასთან. ლერი ხამბულაძე, მაგალითად, ძალიან ახალგაზრდულ ასაკში გახდა მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი. მე კიდე 36 წლის ასაკში დაიწყო ურნალისტიკა და ახლანდელი სოლიდური ასაკის მიუხედავად, არ მაქვს თამბაქოს არავითარი საერთაშორისო გამოცდილება.

„დასიაში, სინგაპურში და სხვადასხვა მდინარეების ტაქსის აპრიალულია აპრიალული გულდობის ნარმოვია...“

სწავლა სიმერემდე – მე და სოლიდური ასაკის სხვა უცემებს დღემდე გვეგონა, რომ დანია და სინგაპური მუნიციპალიტეტები კი არა, სახელმწიფოები იყვნენ; რომ ქართული გრამატიკის მიხედვით, „სხვადასხვა“ შემდეგ არსებობს სახელი მხოლოდით რიცხვში უნდა იყოს. განმანათლებელ ურნალისტიკის კი ჩვენთვის ალბათ, ამის თქმა სურდა: „დანიამ, სინგაპურში და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში აკრძალულია ამერიკული ბულოდოგის ყოლა (ან შეყვანა)“.

„ნაპოლიტანური მასტიფი გადამღებელია პარი პოეტისი ერთ-ერთი ნაწარმოებში“.

ჯერ ერთი, ქართულ ენაზე „ნეაპოლიტანური“ ნაცვლად „ნეაპოლიტანური“ გამოყენება ზუსტად იგივეა, რაც თელავსკური ან სამტრედიისკური თელავსკური და სამტრედიისკური ნაცვლად. მეორეც, გაუგებარია, ვინ ჰგონია ამ წინადადების ავტორ ურნალისტიკის ინგლისელი ჯონ როულინგის უპოპულარესი რომანის გმირი პარი პოეტისი – მწერალი, რეჟისორი, სცენარისტი, მეცენატი თუ კასკადიორი!

ასე კი, ოდნავ მაინც თავმოყვარე ურნალისტიკის ამ წინადადებას ისე დაწერდა: „ნეაპოლიტანური მასტიფის ჯიშის მოდარაჯე ძალი როულინგის რომანის („პარი პოეტისი“) მიხედვით გადამღებულ ერთ-ერთ ფილმშიც გვხვდება.“

„მოდრ-მოდრის ჯიშის ძალიან ერთ-ერთმა ფორმა სამხრეთ აფრიკაში ჩაიყვანა, რათა დაეყვანა ნაღობი“.

აქამდე ცნობილი იყო, რომ სპეციალურად გამოყვანილი ჯიშის ძაღლებს იყენებდნენ ნაღობის აღმოსაჩენად, ანუ ნაღობის აფეთქებისგან ადამიანების დასაცავად. ეტყობა, ეს რაღაც ახალი ჯიშია – იყავს ნაღობის აღმომჩენის ხელყოფისგან.

„გვყავს პრონაზისის სამი დადასტურებული შემთხვევა“.

აქ საქმე შედარებით უფრო რთულია. ამ სიტყვების ავტორი (პროფესორი ექიმი) თავისდა უნებურად, არასწორად იყენებს გრამატიკულ ფორმას, რომელსაც „მეტონიმია“ (მერძ. Metonymia – სახელის გამოყვლა, გადასახლება) ეწოდება.



ქართული ენა უფსკრულსკენ მიექანება...

მოხდა დაჭრა ფეხების მიმართულებით

მეტონიმია, მაგალითად, გამოთქმა „რუსთაველს ვკითხულობ“ – სინამდვილეში, ვკითხულობ არა თვით რუსთაველს (პლუტარქეს, არისტოტელეს, ომარ ხაიამს, ბალბაკს, ჰიუგოს, მაკიაველს, გალაკტიონს...), რაც ყოველად წარმოუდგენელია (პროფესორის კითხვას ვგულისხმობ), არამედ მის ნაწარმოებს. თუმცა, ვინაიდან მოქმედის, მკითხველის, მსმენელის გონებაში ჩივნი და ავტორი გაიგივებულია, ვკმაყოფილებით ავტორის მოხსენიებით და ეს საკმარისი ლოკუტურია. მეტონიმის ნიშნებია საყოველთაოდ გავრცელებული გამოთქმები „ერთი ჭიქა დალია“ (ჭურჭელი სასმელის ნაცვლად), „თოფი ვისნოლა“ (იარაღი ტყვია-წამლის ნაცვლად), „კალამი მაქობრებს“ (იარაღი მოქმედების ნაცვლად), „მეჭარხნე იწვის“ (მფლობელი ქონების ნაცვლად) და მრავალი, მრავალი სხვა.

ექიმს რომ ეთქვა, „გვყავს კორონავირუსით დაავადებული სამი პაციენტი“, ან „გვაქვს კორონავირუსით ინფიცირების სამი შემთხვევა“, ენობრივი და აზრობრივი თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იქნებოდა და მეტონიმისაც ვერ გავიხსენებდით. მაღლობა ამისთვის ქალბატონ ექიმს.

„ერთხელ დიდა ჰინეს ყრანის ცნობილი სიტყვაში – „დიდა არს ალაპი და მუჰამადი ნინასწარმეყვლია მისი“ (ლა ილაპი ი ილაპი ლაპი, მუჰამადურ ნუსულუ ლაპი) ასე გადააკეთა „ფილი – ეს ჩვენი დროის დამართა და რომისლი – მოციქული მისი“.

თავისი განსწავლულობით მოკვლევე მოფილოსოფოსო დამრეგებელი ერთმანეთში ურევს ყრანის მიერ დამკვიდრებულ არაბულ გამოთქმებს „ალლაჰ აქბარ“ (დიდა ალაპი!), „მისი-ლ-ლაჰი რაჰი მან არ-რაჰიჰი“ (სახელითა ალაპისა მოწყალისა მწყალობლისა) და „ლა ილაპა ილა-ლ-ლაპაჰი ვა მუჰამად რასულ ალ-ლაჰაჰი“ (არ არის დღერთი ალაპის ვარდა და წინასწარმეტყველია მისი მუჰამედი). ვარდა ამ (ყრანის მიხედვით მწყალებური) აღრევისა, სრული უცილობის ნიშნა ავტორის მიერ მოხვედრებული არაბული წინადადებების ქართულენოვანი ტრანსკრიპციებიც. არ არის აუცილებელი კლასიკური არაბული ენის ცოდნა – ასეთი ადამიანები საქართველოში საკმაოდ ბევრია და მათი ცოდნის გამოყენება უპრობლემოდ შეიძლება.

სხვათა შორის, დიდი ჰინეს გვარი გერმანულად იწერება ასე – რუშე. გერმანული ენის გრამატიკის შესაბამისად კი გამოითქმის ასე – ჰინე. მოკლეც, გენრის გენე კი არა, როგორც მას რუსები მოიხსენიებენ, არამედ ჰინის ჰინე, როგორც მას მშობელი გერმანელიც და დანარჩენი ცივილიზებული სამყარო იცნობს.

„ინფანტის მიმდინარეობა და შედეგად ძალიან მძიმე ან/და პერმანენტული 30 შემთხვევა იყოს. ანაბა 30 მფყვალავს ის, რომ ავიაბილიტიკის კი გამოიყვანა ვიდეოშია ყოვლიდან, სადაც არათუ მოხუცები, „ოსთა სახადრობა მსახრობა, ლამის რაინას რომ ღვაჯავნ“.

მსოფლიოში სახელგანთქმული ეს ქართული საინფორმაციო სააგენტო გამოვირუსებულ-გამოჩრჩეტილ თანამემამულეებს გვაფრთხილებს, ინფექციის მიმდინარეობა და შედეგები (ყურადღება მიექცეთ, მიმდინარეობა და შედეგები, კაცო!) ძალიან მძიმე, ან/და პერმანენტულიც კი შეიძლება იყოს! ამ გაფრთხილების ავ-

ტორმა აშკარად არ იცის ფრანგული ტერმინის პერმანენტული (Permanentis – განუწყვეტელი მიმდინარე) მნიშვნელობა და იგი „ხანგრძლივი“, ან სულაც, „მარადიული“ ჰგონია. არაფერი ვამბობ იმაზე, რომ ავიაბილიტი, თუნდაც, ტანკი ან მატარებელი „წყობიდან შეიძლება გამოიყვანოს“ რაიმე ქარხნულმა ხარვეზმა, აფეთქებამ, დაჯახებამ და არა ვრისა ან პილოტის სიდედრის წყევლამ. მართალია, ვირუსი ხანდახან „რეინის მღვწველ სამხედროებსაც“ შეეყრება ხოლმე, მაგრამ მას „წყობიდან გამოიყვანს“ რეინის (ან პოთ-ლოგის) მღვწველი ადამიანი და არა უმტკიცესი მეტალისგან დამზადებული ავიაბილიტი და, წარმოიდგინეთ, თვით რეინის კასრეც კი! მარე იმასაც ვიტყვი, რომ გამოთქმა „წყობიდან გამოიყვანა“ ნიშნავს არა ადამიანის დასწევლებას, არამედ მისთვის ნერვების მოშლას, განრევილებას. მაგალითად, ამ მოხვედრებულმა მაგალითები ნამდვილად გამოიყვანს წყობიდან ქართული ენის ნებისმიერ გულშემატკივარს.

„მინდა გითხრათ, საგონაო კავშირის გადმოწვით ექსპრესივების განსხვავებით, დღესდღეობით ტანკოლოგიები იმდენად გავითარებულა ექსპრესივებით, საუკუნის წინ რითი გარდაცვალა ადამიანი იმასაც 30 ადგილზე 21-ე საუკუნეში“.

სტატა უცნაურია, მაგრამ ამ წინადადების ავტორს ტერმინები „ექსპრესივი“ და „ტექნოლოგია“ სინონიმები ჰგონია. ალბათ მარადიულ საიდუმლოდ დარჩება, რას ნიშნავს „საბჭოთა კავშირის გადმონაშთი ექსპრესივი“ და „ტექნოლოგიები ექსპრესივები“; ავტორი ერთ წინადადებაში ორჯერ რატომ მიუთითებს დროს („დღესდღეობით... 21-ე საუკუნეში“). მთავარი ამ სიმამაცით შეფუთული უცილობის საჯაროდ გამოყენების დაუკლებელი სურვილია: მეოცე საუკუნის ქართული, საბჭოთა და მანამდე რუსული არქეოლოგია, მეგრ სხვა რამესთან ერთად, უპრობლემოდ განსაზღვრავდა აღმოჩენილი ექსპონატის ასაკს, წარმომავლობას და მის მნიშვნელობას კულტურისა და მეცნიერებისთვის; ადამიანის ჩონჩხის შესწავლის საფუძველზე, საკმაო სიზუსტით აღგენდა მისი სიკვდილის მიზეზებსაც.

„უფრო ადრე კი, ირლანდიელმა მკვლევარმა გოლო ტარის მხედრობის გამართვა მოუწვია, სადაც იტალიის წინააღმდეგ გამოვლენ და რეგულაციის თანახმად, გაყურებულების დაგვიდა ამ თავსავე მოხდებოდა“.

ამ წინადადების ავტორს ალბათ ამის თქმა სურდა: „მანამდე ირლანდიელმა მკვლევარმა იტალიის წინააღმდეგ გამოვლენ და რეგულაციის თანახმად, გაყურებულების დაგვიდა ამ თავსავე მოხდებოდა“.

გავისწავლოთ ტექსტი ერთი რეკლამისა, კარგა ხანია უკლებლივ ყველა ქართული ტელევიზია რომ დაიპყრო – „ნანარმომი შეიძლება თავსავე მოხდებოდა, თავსავე მოხდებოდა თავსავე მოხდებოდა თავსავე მოხდებოდა თავსავე მოხდებოდა“.

სიტყვა „ნანარმომი“ აქ ფილმს, სპექტაკლს, წარმოდგენას უნდა გულისხმობდეს. რადგან შემდეგ თამბაქოს ბოლია მოხსენიებულია, „თამბაქოს ნანარმი“ უეჭველად სიგარა და სიგარეტი უნდა იყოს, ხოლო „ექსპრესივი“ და „მოწყობილობა“ – სიგარეტის კოლოფი, სანთებელი, ასანთი და საფერფლე. „ექსპრესივისა და მოწყობილობის მოხმარება“ კი, რაშიდაც რომ ეთქვას, სულელები გამოთქმა – მისმა ავტორმა ან „ექსპრესივის“ და „მოწყობილობის“ მნიშვნელობა არ იცის, ან „მოხმარებისა“. მოკლედ, ამ ღვაჭნილი წინადადებით (რომელიც უეჭველად რომელიღაც უცხო ენიდან უნდა იყოს თარგმნილი) რეკლამის ავტორს სურს გვითხრას – „ფილმის გმირები მოიხმარებენ თამბაქოს. გაფრთხილებით, თამბაქოს ბოლი საშიშია თქვენს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის“.


ერთი უცნაურების თქმა უნდა მოვასწრო. ჩვენი სასიქადლო ავტორები ძალიან ხშირად ურევენ ერთმანეთში ტერმინებს „მუჰამადი“ და „მუჰამადი“. ამ პატივცემულ საზოგადოებას შევახსენებ, რომ მეკავშირე არის კავშირების (მაგალითად, სამხედრო კავშირების) დამამყარებელი პირი სახელმწიფოებს, ორგანიზაციებს, პარტიებს, სამხედრო დანაყოფებს... შორის. მოკავშირე კი გახლავთ მომხრე, თანამოზირე, თანამოზირე. მოკლედ, სუბიექტი, ვისაც კავშირი აქვს უკვლავ სხვა სუბიექტთან. მაგალითად, აშშ არის ევროკავშირის მოკავშირე, ჩინეთი – რუსეთისა, გუბაში – მიშასი.

სანამ დაგვითარებდნენ, ნება მიმოქვით, საფიქრალად, გასანალიზებლად და გასაღიზებლად კიდევ რამდენიმე წინადადება შემოვთავაზოთ:

გადაადგილება განხორციელდება ორივე მიმართულებით; ენდო საკუთარ გემონებისა და იგივე გამარჯვების გემო; გვაქვს ყველა ქართული ზომის ფიქარი, რეიკა, კოჭი...; თვითმფრინავმა ქალაქ ოსკოში ავარიალი დაშვება განახორციელა, სადაც ის საავტომობილო გადაიყვანეს; წიქის წარმოებისას საკვები ელემენტების დიდი რაოდენობით შეთვისება მცენარის მიერ ხორციელდება ვეგეტაციის პირველი 60 დღის განმავლობაში; მოხდინეთ მცენარეების ამოთხრა და დაწვა; ამ შეხვედრის შემდეგ გავეთდება პირველადი საგარეულო ფაქტი; პარლამენტი ადგილი ექნება მწვავე დებატების წარმართვას; ჩვენი სამხედრო თანამშრომლობა ამერიკის შეერთებული შტატებთან არის განგრძობადი; ვისაც ენატრება საბჭოთა კავშირის კერძები, მისთვის მიუღწეველია თავისუფლების გემო; მასილამიური ცოლზე ძალადობა და ცოლი სანაცვლოდ თვეში 100 000 ლანს იღებდა; ტერორი მეკარის კუთხეც მოატყუა, მაგრამ წვიმის გამო ფეხი დაუკურდა;

მეცხოველეობის ფერმის ძირითად საქმიანობას შეასწავლონა წარმოადგენს; მათი ჯანმრთელობის სიცოცხლე არ ემუქრება; დაყვის თანამშრომლის მიერ მოხდა დაჭრა ფეხების მიმართულებით...
თეიბურაზ ძორიძე
27. 12. 2023 წ.





კპირფასო მპითხველო, კპირფასო ბავშვებო!

გამოჩენილი ქართველი მწერლის ვანო ჩხიკვაძის საბავშვო ლექსები, რომლებიც პერიოდულად ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც ქვეყნდებოდა, გამოცემლობა „ელფმა“, სათაურით „სარკის ჩიტი“, ცალკე წიგნად აკინძა. ამ კრებულმა, 2023 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაწესებულ კონკურსში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემია დაიმსახურა.

გვინდა, შობა-ახალი წლის მობრძანება, ვანო ჩხიკვაძის ახალი ლექსებით მოგილოცოთ და გისურვოთ, რომ სიხარული, ბედნიერება, ქართული სიტყვის მადლი, საყოველთაო მშვიდობა იყოს თქვენი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი.

„საქართველოს რესპუბლიკა“

მოდის ლალი, მოშაპუნებს, მოელვანე ელვის ბუკით, შენ სარკემელსაც მოაწყდებია ხმა წვეთების პაკიპუკის.

არ იცლებია სავსე ცური – მწყალობელი ღრუბლის უბე, რა მიჯი ხარ, შვიდმაისის წემით თუ არ გაილუმპე.

პიროვი

ბავშვობაში, დიდდას, არ ვიცოდე ვითომ, რას ამზადებს, მეთოდ, მაინც უნდა ვკითხო – ათჯერვე მიპასუხებს – ოფოფისთვის ვიფოფს!



აფრენს ვიფოფისათვის, სადმე თუ არ მიჰქრის, დიდი კოვზით მიირთმევს, თან იძახის: – იფ! იფ!

ვიფოფი რა ხილია, ცხარეა თუ ტკბილია, სხვებმაც რომ არ იყიან, მართლა გასაკვირია.

მეზობელი მუდიდან ჩხიკვი ნუცა გახსოვს? საჭორაოდ მოიცლის, მიატოვებს საქსოვს:

„მართალია, მამალ ბუმს ცხვირზეც არ დაისვამს. ისეთი ქვაწვიაა, რომ იცოდეთ, მტრისას!..“

პრანჭია და ეგეთი? – არ თქვათ, დედას გაფიცვით – თავზე დაკოსებული საგარცხლითაც ამტკიცებს.

გავივით, მეზობლის ზღურბლს ვერ გადაამიჯო, რა მოხდებია ვიფოფი ერთხელ ჩვენც გაგვასინჯოს!..

თუ მოსთხოვე, შეგარცხვენს, სულ ასეთი იყო, კარს მოგიახუნებს და ენას გამოგიყოფს!..“



მოკლედ, ჩხიკვი ოფოფის გასახლებას ითხოვს, ჰოდა, თქვენი დიდდაც თუ ამზადებს ვიფოფს, ოფოფი რომ გადარჩეს იქნებ შეეკითხოთ – ჩხიკვს აახლეთ რეცეპტი, ბევრი არ იფიქროთ.

მხატვარი

აცამაცა ხაზებს ავლებს, თუმცა ძლიერ უყვარს ქება, თოკოს დახატული სახლი სადაც არის წამოწვება. ესეც, ვითომ ზამთარია, ფანტელში არ ჰგავს ფიფქებს, უფრთებო ჩიტს რა ვუშველოთ, მაღალ ცაში როგორ იფრენს?!

ფეხს კაცს ყურთან თუ მოაბამს, აბა, რა თოკოს მრალია – დავაცალოთ, თითისტოლა, ჯერ დამწყები მხატვარია.

აივნის სტუმარი

მოფრინდა, ალერსიანი ხმით, საჩუქარი განგებში, რომ მოფრთმია პარია ყელში ნაშობი ჰანგები.

ჩიტი, სახელად ღაბუა, ჩვენს აივანზე, მარტო, სკუპია, დილაადრია ტკბილად გალობით გვართობს.

ვარგუნე მუჭით ხორბალი ჯილდოდ და თითო-თითოს მიირთმევს, ყველა მარცვალი ღმერთმა შეგარგოს, ჩიტო!



ვანო ჩხიკვაძე

ნათლობა

სამრევლოზე ზარებს რევენ, მზე მოიხდის ნისლის ფატას, მოვანათლეთ და მორწმუნე მრევლს ერთი მიჯიც შევმატა.

ეფერება კელაპტრების მოთამაშე ალი ნიავს, ხატს პირველად ეამზონა – სამი თითი შუბლთან მიაქვს.

მრწყინავს დედა-ღვთისმშობელის ცრემლი წამწამების სიმზე: – გაეზარდე საქართველოს! – თოკო-მიჯი პირტყავს იწერს.

სახალწლო

მოსწყდა ბოლო ფურცელიც მუხის ფოთლის კალენდანს, უღრანეთში საათმა თორმეტჯერ რომ დარეკა.

ნოხივით დაფენილი ირგვლივ თოვლი ხასხასა, ფერადმა ნათურებმა უცებ გააკაშკაშა.

ვარსკვლავების ციმციმით იხალისო, თუ გინდა, მოისმინე ყივყივი მათი ზეცის უმიდან.

იმდენი ჩიტი სტუმრობს ჩვენს კოპია დედოფალს, ირგვლივ რომ შემოისხას ტოტები არ ეყოფა.

კენწერობზე, როდესაც მოკაზმეს და შემოსეს, ოქროსმიმილოვანი მამალიც კი შემოსევს.

ზანზალაკის წარილით ზარების მოძახილით, მოსრიალდა შორიდან საახალწლო მარხილიც.

ყველა გამხიარულდა, ყველას სახე უცინის – თოვლის პაპამ ჩამოღდა საჩუქრების ხურჯანი.

გული არდასწყვეტიათ, ყველამ რაღაც ირგუნა, კურდღელმა და მელიამ, თუ ფოცხვერმა, დიდგულამ.

იქით თავგმა – პრანჭიამ, აქეთ ციყვმა ცმაცუნამ, ახალ წლის სადღეგრძელოდ თხილი გააკანაწუნა.

აკაჟანდა, აცეკვდა, ნუ იკითხავ რატომ – თოკოსათვის დედალმა ოქროს კვერცხი დადო.

თუმც დათვის თაფლი მიართვეს, მაგრამ, ალბათ, ზედა, თათს ვინ ჩივის, ქილაში თითიც ვერ ჩაეცია.



აბა, ვანი, ვანიო, წრუწუნ მითხარ მანიო, ერთიც ჩამოეუაროთ, ვიდრე მოგვდევს ჯანიო.

ავდარს მოსდევს დარით, დავეყენოთ თვალით, ფისომ კლანჭი თუ გაგვრა, ვაი შენი მრალიო...

ვარსკვლავების გვირგვინით, თავზემით რომ კიაფოვს, ტანწერწერა ნაძვისზე ნარანარებს, კოპიაოვს.

წესრიგს ვინ არ დაიყავს, დიდტორას და გრძელცხვირას, ნაგამს გამოხრულ ძვალზე თუ არ ჩამოეძინა.

მოსწყდა ბოლო ფურცელიც მუხის ფოთლის კალენდანს, ყველას მახარობელი შემოაღებს მალე კარს.

კრუხო, ახალ წელიწადს, რას ვისურვებ, – მეც მინდა გამოჩეკო მშვიდობა შენი ოქროს კვერცხიდან!

პელა ქიმი

საქათმეში ვარაის სიცხე მისცა, ახველებს, უპირზადოდ მამლები არ უშვებენ მნახველებს.

ჩაჩიანი, ხელჩანით მორბის, ვინ შეაჩერებს: – ხომ გული გამისკდება დროზე თუ არ მაჩვენებთ.

რაც კვერცხი გამოტეხა, უმწეოს და უმამოს „საოჯახო ექიმი“ თავს ვეველები, ვმკურნალობ.

ჯერ ისეთი ნორჩია, ცქვითი, მერტიკუნეთა, სხვას ვის ვანდობ, აქამდე ჩემი პაციენტია.

კარგი მაინც არ იყოს, ალბათ, ჩემი ზედა, რომ იტყვიან, ძვლიანად მართლა ჩასაკვნიეთა.

მაწანწალა ტურნებმა კბილი უკვე აღესეს, „ყელტიტველას“ რა უნდა გარეთ ვაშნის გარეშე!.. მელა როგორ გვაბოლებს, ნახეთ, სხვებზე გვეყვიან, ეზოს დარაჯ მასარას რამდენჯერ უთეთქვია.



ახლაც, რომ აუხდინონ შუბლზე რაც აწერია, საქათმესთან კეტი და ცუბა უკვე ელიან.

თოქო და ღიღილო

ვიმ, რა დილა გათენდა, უნდა დავიდილინო, გაზაფხულის შემოსვლა რომ მახარე, ღიღილო.

როგორ მიქარგ-მოქარგე მინდვრის მწვანე საბანი, მელურებს და მზეწვიებს აღარ გააქეთ მაბანი.

ირგვლივ ყაყაჩოების ვარსკვლავებზეც ინთება, ჯეჯილს გამოადვიძებს მწყურების აქვითქვითება.

ყველა მხრიდან მიღიმი ოთხივეუთხივ ფოფინომ, მორცხვო, თეთრფატიანი გვირილების დობილო.

მეგრი უცხოობაში გადარგული ჩამოხმა, ასე პირმშვენიერი სხვაგან როგორ ამოხვალ. ჩვენ ფიქრებს რომ უგალობს სალაპუნის ღეროა, მე და შენი სამშობლო მხოლოდ საქართველოა.

უმიღბანის ნიშა

გაზაფხულის წემას ვაქებ ხმაწკრიალას, დაუზარელს, შემოურზენს ყველა ქუჩას, ყველას კარზე დაუზარებს.



აუზუმი

ღღას ოქია!

მოულოდნელად გაიხსნა კვანძი ხორვატეთში მიმდინარე წყალბურთულ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც ჯგუფური რაუნდი დასრულდა.


ეს არ ყოფილა საქართველოს ნაკრებს, რომელმაც სიკვდილის კვარტეტში მესამე მატჩიც წააგო საბერძნეთთან - 9:18 და პირველი ეტაპი ბურთების დამამცირებელი ბალანსით დაამთავრა - 25:55(!), თუმცა ფორუმის მთავარ პლეი-ოფს რუმინეთთან დღეს გამართავს და გამარჯვების შემთხვევაში წინა ტურნირზე ნაჩვენებ საუკეთესო შედეგს გაიმეორებს, თანაც მუნდიალისა და ოლიმპიადის საგზურებისათვის ბრძოლის შანსს



შეინარჩუნებს. აღსანიშნავია, რომ ელადელემს 6(!) გოლი მარკო ელაჩამ გაუტანა. რაც შეეხება წერილის შესავალში ნახსენებ საკვირველებს, გამოვეთვლი ფავორიტი იტალია სენსაციურად დიდი ანგარიშით - 5:10 დამარცხდა ზაგრებში ახალგაზრდული შემადგენლობით მოთამაშე უნგრეთთან, რითაც მეოთხედფინალს მიღმა დატოვა სამხრეთი. მოკლედ, აუბი ყველაფერი ხდება!

კორტზე

საიგალო პლეი-ოფი



ახალ საჩოგბურთო სეზონში საქართველოს ვაჟთა ეროვნული ნაკრები 3-4 თებერვალს ვილინუსში ჩაემგება, სადაც დევისის თასის გათამაშების პირველი ჯგუფის პლეი-ოფში ლიეტუვას ასეთი შემადგენლობით ეწვევა: საზა ფურცელაძე, ზურაბ ტყეშელაძე, ალექსანდრე მერტველი, ალექსანდრე ბაკში, გუნდის კაპიტანი - დავით კვერნაძე. ვიქტორბო, დროული იქნება თუ შეგახსენებთ, რომ ამავე პრესტიჟული ტურნირის წინა გათამაშების მესამე ზონაში გამარჯვების შემდეგ ჯერონსენგმა მეორე ზონაში გადასასვლელი პლეი-ოფი პოლონეთში ბოლოვინას 4:0 მოუგეს, ხოლო პირველი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად შინ გამართულ ბრძოლაში ტუნისი 3:1 დაჯაბნეს.

ამასობაში გაიკვავა, რომ ერთწლიანი მკურნალობის შემდეგ კორტზე დაბრუნებული რაფელ ნადალი ვერ ითამაშებს ავსტრალიის ღია პირველობაზე. ესპანელი ლეგენდა ამჯერად ბარძაყის კუნთის ტრავმამ დააღალატა.

ისტორიული პირველი

დღემდე ქართული სპორტის ეპიცენტრი გერმანიის ქალაქ მანჰეიმში გადაინაცვლებს, სადაც ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები ისტორიაში პირველად ხელბურთულ ვაჟთა ევროპის ჩემპიონატში ითამაშებს. კონტინენტის 24 წევრი 6 ოთხთხვეტიან ჯგუფში ასე გადანაწილდა:

- „ა“ ჯგუფი - საფრანგეთი, ტუნისი, ჩრდილოეთ მაკედონია, შვეიცარია.
 - „ბ“ ჯგუფი - ესპანეთი, ავსტრია, ხორვატეთი, რუმინეთი.
 - „გ“ ჯგუფი - ისლანდია, უნგრეთი, სერბეთი, მონტენეგრო.
 - „დ“ ჯგუფი - ნორვეგია, სლოვენია, პოლონეთი, ფარერეები.
 - „ე“ ჯგუფი - შვედეთი, ნიდერლანდები, ბოსნია, საქართველო.
 - „ვ“ ჯგუფი - დანია, პორტუგალია, ჩეხეთი, სამხრეთი.
- „ჯვაროსანთა“ შეხვედრების კალენდარი ასეთია (მთავარი მწვრთნელი - ტიტე კალანდაძე, მწვრთნელი - შოთა თევზაძე, გუნდის უფროსი - მერაბ მეტრეველი):

ღირსების დაბიუტი



- 11 იანვარი - ნიდერლანდებთან.
 - 13 იანვარი - შვედეთთან.
 - 15 იანვარი - ბოსნიასთან.
- ისტორიულ ფორუმამდე ხელბურთის პელეს - ჯემალ ცერ-

ცვაძის სამშობლომ მოსამზადებელი ეტაპი კარპატების თასზე გამოსვლით დაიწყო, სადაც ჯერ სლოვაკეთს მოუგო - 32:27, ხოლო ფინალში მასპინძელ რუმინეთთან დამარცხდა - 25:31. ამას მოჰყვა სლოვენიაში გავლილი დასკვნითი საწვრთნელი შეკრება და სპარინგებში მონაწილე გამარჯვებები: საუდის არაბეთთან - 31:26 და ქუვეითთან - 34:30.


შენებრითა, ამ პერიოდში არც ჩვენებურთა მომავალ მეტოქეებს ეძინათ - შვედებმა იაპონიას 42:30 სძლიეს, ნიდერლანდები ეგვიპტესთან დამარცხდნენ - 28:30, ბოსნიელები კი იელოუს თასზე - არგენტინასთან - 23:32.

საქართველოს ნაკრები

ცინცაძე, დიხამიჯია, ორჯონიძე, არსენაშვილი, კბილაშვილი, ლაპიაშვილი, გოგავა, აზრაშვილი, არემიძე, დანსანია, ცხოვრებაძე, სიმონია, გოგოლაძე, გავაშვილიშვილი, რუსთამოვი. სამწუხაროდ, ტრავმის გამო ვერ ითამაშებს გუნდის ლიდერი კალანდაძე.

სიახლე

ისევ სერბულ რელსებზე



იმორ კომპოზიციის შემდეგ 52 წლის ალექსანდრ ჰიპოიო მეორე სერბი სპეციალისტია, ვინც საქართველოს კალათბურთულ ვაჟთა ეროვნულ ნაკრებს გაწვრთნის.

სწორედ მის სახელს უკავშირდება მონტენეგროს მუდუხროსტში მაშინ ჯერაც ყმაწვილი გოგა ბითაძის ტრანსფერის გაჩაჩხვა, რაც ჩვენი თანამემამულისთვის ევროლიგის ამომავალი ვარსკვლავის ტიტულის მიწვევით დაგვირგვინდა. ჯვაროსანთა მომავალ თავაკაცს ზურგს ასევე უმაგრებს სლოვენური, ლიტვეური, ესპანური და მშობლიური კლუბებში მუშაობით დაგროვილი გამოცდილება, შარშან კი იერუსალიმის შაპოვლის ისრაელის თასი მოაგებინა და იქ კარგიერის გაგრძელებას საქართველოში მოღვაწეობა ამჯობინა.

სხვათა შორის, ჯიკიჩი ნმა-ში მიწესოტას დამრიგებელ კეისის ასისტენტაც იყო, ხოლო რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებებს, ერთი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ მაკედონიას ავანჯიშემბდა. დაუძენო, რომ ბალკანელთან კონტრაქტი 2025 წლის ევრობასკეტზე გათვლილი და თანამშრომლობა სავანის ფორუმის საკვალიფიკაციო ეტაპსა და ფინალურ რაუნდს ითვალისწინებს, ვადის გახანგრძლივების ვარიანტს კი მხოლოდ ამის შემდეგ განიხილავენ.

საიუბილეო

ახალ სეზონში - ახალი ინვესტორით



როგორც მოგეხსენებათ, გაიხსნა თბილისის დინამო საუკუნისა შესრულებდა, ფინანსურ კრიზისში ჩაგარდნილი ქართული ფეხბურთის ფლაგმანის პრემიერლიგის რიგში რეინცარდა. კი კარგა ხანია ეძებს კლუბის შესაძლო მყიდველს ან ისეთ პარტნიორს, რომელიც თეთრლურჯთა ფეხზე დაყენებაში შეიძინოს წვლილს.


როგორც ამ სამშობლო დღეებში ლელოდან შევიტყვევო, უკვე წარმატებით დასრულებულა მოლაპარაკება სამშობლოში სერობული გეგმებით მოღვაწე თანამემამულე მიზნესმენთან და იგი დინამოს აქციების გარკვეულ წილს მიიღებს მართვის უფლებით, ხოლო ახალი ინვესტორის ვინაობა მაშინ გასაჯაროვდება, როცა გარიგება ოფიციალურად გაფორმდება.

მუნებრითა, დამდეგი სეზონის წინ დილმის ბაზაზე დიდი მიდივლ-მიდივლი გაჩაღდა, რაც

ტრადიციული პროცესია ნებისმიერი გუნდისათვის. კერძოდ, ესპანელი მწვრთნელი კარასკო უკვე გამოეთხოვა მთელ რიგ ლიდერებს, მათ შორის მარუშის, სანგარესა და ხარაიშვილს, სოლიდური შეესვმის შესახებ კი ინფორმაცია, სავარაუდოდ, მალე გავრცელდება.

და ბოლოს: როგორც კლუბის თავაკაცი სოციალური ქსელით გვაუწყებს, მრგვალ თარიღამდე გულმემატკივართა კერპები მანაკს ახალ, ულტრათანამედროვე ცენტრში დასცემენ, კრისტალმეტ ეროვნული ლიგის მოახლოებულ გათამაშებაში კი ძირითადად დინამოს აკადემიიდან დაწინაურებული პერსპექტიული ბირთვით მიიღებენ მონაწილეობას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუნჯებიან, რომ 83 წლისა გარდაიცვალა თბილისის ბურვეესტინის ვეტერანი კალათბურთელი, სამივე უმაღლესი სანაკრებო ტიტულის მფლობელი ერთადერთი ქართველი ვარსკვლავის (ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის) ზურაბ საკანდელიძის ღირსეული ძმა, სპორტის ოსტატი



ანზორ საკანდელიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. კარიერის დასრულების შემდეგ, როგორც გამორჩეული საზოგადო მოღვაწე, იგი გახდა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პირველი მონვევის პარლამენტის დეპუტატი და საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერი, რეფორმატორთა კავშირის დამაარსებელი და თავმჯდომარე, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ეკონომიკასა და მშენებლობაში ახალი იდეების შემოქმედის მიერ შემუშავებული კონცეფცია - პროგრამა „კეთილდღეობა ყველასათვის“ აღიარებულია, როგორც უდიდესი მნიშვნელობის უნიკალური დოკუმენტი. უფალმა დაუშვიდროს ამაგდარ მამულიშვილს ცათა სასუფეველი, სადაც მართალნი განისვენებენ.

ახალი წელი საფეხბურთო სამყაროში დიდი დანაკლისით დაიწყო - ერთკვირიანი ინტერვალით განერიდნენ ნუთი-სოფელის სიცოცხლემივე ლეგენდა ქვეული მსოფლიოს ჩემპიონები როგორც მოთამაშის, ისე მწვრთნელის ამბლუაში - 92 წლის მარიო ზაბალო და 78 წლის ზრანც ბაქინბაშირი.

ეს უკანასკნელი ერთადერთია პლანეტაზე, ვისაც მუნდიალის სამივე სინჯის მედალი აქვს მოხვეჭილი. გარდა ამისა, ოქროს ბურთის ორგზის მფლობელს ევროპის ჩემპიონის ტიტულიც ამშვენებდა, საკლუბო კარიერა კი მიუნხენის ბაიერში გატარებულ 14 სეზონში გამართულ 584 მატჩში გატანილი 75 გოლს მოიცავს, რა დროსაც 5-ჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, 4-ჯერ - თასის მფლობელი და 3-ჯერ, როგორც



მარიო ზაბალო

ზრანც ბაქინბაშირი

ტრიუმფატორთა კაპიტანმა, შემართა ჩემპიონთა თასი ისევე, როგორც თასების მფლობელთა და საკონტინენტთაშორისო თასები.

სხვათა შორის, კაიზერ ფრანცი ევროპელთაგან ერთ-ერთი პირველია, ვინც კომერციულ ფეხბურთისად გადაუხადა ხარკი და ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდების წინ პელესთან ერთად ბურთი ნიუ იორკის „კოსმოსის“ მაისურითაც გააგორა...

ჯარიმები უშუალოდ თავდასუფთავებას?

(მეორე გვერდიდან) კახა კალაძემ დედაქალაქის გასული წლის ბიუჯეტის შესრულებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ წინა წელს დაწყებული სამუშაოებიდან გადმოყოლილი თანხები და დამატებითი შემოსავლები 2024 წლის ბიუჯეტში მთლიანად აისახება.

„2023 წელი საკმაოდ წარმატებით დაიხურა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტის შესრულება 95%-მდეა. რაც შეეხება საშემოსავლო ნაწილს, მისი შესრულება, დაახლოებით, 100 მლნ ლარით არის გადაჭარბებული. გარდა ამისა, გარკვეული თანხები წინა წელს დაწყებული სამუშაოებიდან გადმოგვყვა, რომელიც დამატებით შემოსავლებთან ერთად, მთლიანად აისახება მიმდინარე წლის ბიუჯეტში. ამ ყველაფერიდან გამომდინარე, 2024 წლის ბიუჯეტი, რომელიც 1 763 000 000 ლარის ოდენობით დამტკიცდა, გახდება 1 963 000 000 ლარი, რაც საშუალებას მოგვცემს, ქალაქისთვის უფრო მეტი მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტი განვახორციელოთ. პირობას ვაძლევთ, რომ 2024 წელი კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნება“, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მისივე თქმით, უახლოეს მომავალში მოსახლეობა გაივებს, თუ რაში დაიხარჯება დამატებითი რესურსები და ქალაქისთვის მნიშვნელოვან რომელ ღონისძიებებს მოხმარდება.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, მიმდინარე თვიდან დედაქალაქის ყველა საჯარო ბაღის 11 188 თანამშრომელი 15%-ით მომატებულ ანაზღაურებას მიიღებს.

მისივე თქმით, 2017 წლიდან დღემდე, თბილისში 23 ახალი საბავშვო ბაღი აშენდა, 11-ს კი რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

ამ ეტაპზე, თბილისში 189 საჯარო ბავშვობა, რომელიც 60 000-მდე ბავშვს ემსახურება.

თბილისის მერის განცხადებით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ზონებში უნებართვო ან სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობებზე არსებული სანქციები მკაცრდება.

„ჯერ კიდევ 2018 წელს მიმართეთ პარლამენტს კანონპროექტით და სანქციები, დაახლოებით, 3-4-ჯერ, ხოლო რიგ შემთხვევებში, 10-ჯერაც კი გაზრდით. უფრო მეტიც, პარლამენტის მხარდაჭერით, მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგინების განმეორებითი შესრულებლობა გახდა სისხლის სამართლის დანაშაული, თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს სანქციები ზოგიერთ მშენებლისთვის ბოლომდე შემაკავებელი ფაქტორი არ აღმოჩნდა“, – აღნიშნა თბილისის მერმა.

ახალი კანონი მიმდინარე წლის 11 იანვრიდან შევა ძალაში.

„მოვამზადებ შესაბამისი კანონპროექტს და საკანონმდებლო ორგანოს წარვუდგინებ. პარლამენტის მხარდაჭერითა და თანადგომით, ეს კანონი უკვე მიღებულია და ძალაში შევა 11 იანვრიდან. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო პარლამენტის თითოეულ წევრს, ვინც ამ ინიციატივას დაუჭირა მხარი. აღნიშნული კანონის მიღების მიზანი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ზონებში უკანონო მშენებლობების მაქსიმალურად აღკვეთა, ხელის შეშლა და მისი სახით, ერთგვარი პრევენციული მექანიზმის შემოღება“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ახალი კანონის მიხედვით: ა) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ზონებში უნებართვო მშენებლობა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, დაჯარიმდება 250 000 ლარით (ნაცვლად 25 000 ლარისა); ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ზონებში უნებართვო მშენებლობა კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, III ან IV კლასის შემთხვევაში – ნაგებობის მშენებლობისთვის ან III ან IV კლასის შემთხვევაში ნაგებობაზე განხორციელებული მშენებლობისთვის, დაჯარიმდება 200 000 ლარით (ნაცვლად 20 000 ლარისა); გ) ჯარიმები გაზრდას ახდენს, I და II კლასის შემთხვევაში ნაგებობების უნებართვო მშენებლობისთვის.

დ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ზონებში სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოებ მშენებლობის მშენებლობისთვის: III კლასის შემთხვევაში, ჯარიმა იქნება 30 000 ლარი (ნაცვლად 10 000 ლარისა), ხოლო IV კლასის შემთხვევაში, ჯარიმა იქნება 75 000 ლარი (ნაცვლად 15 000 ლარისა);

ე) ჯარიმები გამკაცრდა ასევე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ზონებში მშენებარე ობიექტების კონსერვაციის წესის დარღვევით მიტოვებისთვის. კერძოდ, III და IV კლასის შემთხვევაში, ჯარიმა იქნება 150 000 ლარი (ნაცვლად 20 000 ლარისა).

ვ) გამომდინარე იქიდან, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ზონებში არსებობს უამრავი კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი, უშუალოდ ძეგლებზე განხორციელებული უკანონო მშენებლობისთვის ასევე, გამკაცრებულია ჯარიმები.

სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება ძეგლებზე: უნებართვოდ, დაჯარიმდება 250 000 ლარით; სანებართვო პირობების დარღვევით, დაჯარიმდება 150 000 ლარით; კონსერვაციის წესების დარღვევით, დაჯარიმდება 200 000 ლარით;

ზ) მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება ძეგლებზე კი: უნებართვოდ, დაჯარიმდება 40 000 ლარით; სანებართვო პირობების დარღვევით, დაჯარიმდება 20 000 ლარით; კონსერვაციის წესების დარღვევით, დაჯარიმდება 25 000 ლარით.

სანთელი

გიგლა ძანძავას გამოსათხოვარი

აფხაზეთის საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი საკუთარ კარ-მიდამოში დაბრუნებას აუხდენელი ოცნებით გულდაამძიმებული, ღირსეული მამულიშვილი, გალის რაიონის ხელმძღვანელი რგოლის შემადგენლობის აქტიური წევრი გიგლა ძანძავა.

გიგლა ძანძავა როგორც საზოგადოებრივი აქტივობით და მაღალი პასუხისმგებლობით გამოჩენილი სახელმწიფო მოხელე, მაღალი რანგის სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, წლების მანძილზე წარმატებით ხელმძღვანელობდა გალის რაიონის აგრო-სამრეწველო გაერთიანებას.

დედნილობის პერიოდში, 1993 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აფხაზეთის ა/რ სამთავრობო სტრუქტურებში – ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროში – სამმართველოს ხელმძღვანელად, აგრარულ საკითხთა დეპარტამენტში – განყოფილების უფროსად, სსიპ ეკონომიკური სერვისების სააგენტოში – მრჩეველად.

ის აქტიურად იყო ჩართული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების პროცესებში. იყო ქართულ-აფხაზური ერთობლივი პროექტების განხორციელების ინიციატორი. პირადი ავტორიტეტის და მრავალწლიანი გამოცდილების მეშვეობით მას ჰქონდა დამყარებული აქტიური კონტაქტები ენგურს გალმა მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან, ის იყო აქტიურად ჩართული სახალხო დიპლომატიის მოძრაობის პროცესში.


გიგლა ძანძავა, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, სწორი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე ადამიანი, ყოველთვის იყო მათ რიგებში, ვინც აქტიურად იბრძოდა ჩვენი ქვეყნის არსებული ურთულესი გამოწვევების წინაშე. მიუხედავად მძიმე ოჯახური ტრაგედიებისა (მეუღლის მერი ბერაძის და შვილის გარდაცვალება) მას არასდროს დაუკარგავს სულიერი მდგრადობა მისი შვილის ლაშას, რძლის თეას, შვილიშვილების თბილი და მზრუნველი გარემოცვის წყალობით. ის ყოველთვის მოწოდების სიმალეზე რჩებოდა.

გიგლა ძანძავა მისი სანათესაოს, საზოგადოების, კოლეგების, მეგობრების, მეზობლების და მხარდებლების კუთხის ღირსეული მამულიშვილებისთვის ჩვეული მაღალი ზნეობის, უნარ-ჩვევების, ადათ წესების და ტრადიციების მატარებელი, განათლებული პიროვნება. მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა,
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

სანთელი

ვალდოსლელი ოთარ შონია



გარდაიცვალა შესანიშნავი ადამიანი, პატრიოტი, „ტამოშსწორებელი“ ოპოზიციონერი, ცნობილი არქიტექტორი, პუბლიცისტი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იდგა საქართველოს კეთილდღეობის სადარაჯოზე.

თავისი მოღვაწეობით მან ბევრი შესძინა სამშობლოს, გასაკუთრებით სამშენებლო დარგში. მრავალი დანიშნულების შენობა-ნაგებობა აშენდა თბილისსა და მის მშობლიურ ქალაქ სენაკში. ის იყო ადამიანი, რომელსაც გულთან ახლოს მიჰქონდა სხვისი გასაჭირი და იზიარებდა მას. ოთარ შონია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დროულად აქვეყნებდა პუბლიცისტურ სტატიებს და იყო საქაბდრაკო ამონტანების და ეტირების კომპოზიტორი. წავიდა ჩვენგან, სამშობლოსთან, ახლობლებთან ვალდოსლელი ადამიანი!

გაზეთ „ს.რ“-ის რედაქცია



ნატა ფერაძის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამების საკათედრო ტაძარში მოხდარ ვანდალიზმის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. სასულიერო პირების ინფორმაციით, აქტივისტმა ნატა ფერაძემ წმინდა მატრონას ხატს საღებავი შეასხა. გამოძიება წერილობრივი ხელიგნობის მხარდაჭერით ფაქტზე არის დაწყებული. შემდგომი რეაგირებისთვის საქმის მასალები სასამართლოში გადაიგზავნება.

პოლიციის გამოკითხვაზე იმყოფებოდა სამოქალაქო აქტივისტი, ნატა ფერაძე. მან პოლიცია სახლში თავად გამოიძახა, შემდეგ კი უწყებაში გადაიყვანეს. აქტივისტმა პოლიციას დააცნო ის მუქარის შემცველი შეტყობინებები, რომლებიც მიიღო. ფერაძე ითხოვს, რომ სამართალდამცვემ შესაბამისი ზომები მიიღოს.

ნატა ფერაძემ სოციალურ ქსელში გაავრცელა ვიდეო სამების ტაძრიდან, რომელშიც ჩანს, რომ იოსებ სტალინის გამოსახულებიან ხატს ლურჯი საღებავი შეასხეს. ამის შემდეგ აქტივისტმა მუქარის შემცველი შეტყობინებები მიიღო. პოლიციამ აღნიშნულზე გამოძიება აღმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დაიწყო, რაც წერილობრივ ხელიგნობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, თბილისში, სამოქალაქო აქტივისტის საცხოვრებელ სახლთან მოხილვებზე არიან საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით.

„მოვეუბნებო აქცის ორგანიზატორებსა და მონაწილეებს, არ გასცდნენ გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრების კანონით დადგენილ ნორმებს.“

სამართალდარღვევის ნებისმიერი ფაქტი პოლიციის მხრიდან, კანონის ფარგლებში, დაყოვნებული იქნება აღკვეთილი“, – აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

სწორილია 27 წლის ქალის ვინაობა, რომელიც ქაბრბა მოკლა

თბილისში, ქმრის მიერ მოკლული ქალის ვინაობა ცნობილია. 27 წლის ქეთევან ედიშერაძე კლინიკაში სასტიკად ნაცემი შეიყვანეს, მას მრავლობითი ტრამატიკული ალენიზმებოდა მთელ სხეულზე.

გასრობრივი კარსვა დიდ დილოში

რამდენიმე დღის წინ, დიდ დილოში 5-ზე მეტი მანქანა გაქურდეს. მოპარულია საბანკო მანქანები, კოსმეტიკა და მცირე თანხა, რომელიც მანქანებში იყო. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ამოიღო სათვალთვლო კამერის ჩანაწერებიც, თუმცა დაკავებული არავინაა. პოლიციას საუარაუდო დამნაშავეებიც იდენტიფიცირებული ჰყავს. უწყებაში აცხადებენ, რომ ისინი არასრულწლოვნები არიან. ადგილობრივები აცხადებენ, რომ არასრულწლოვნების მხრიდან ჩადენილია დანაშაულებმა სისტემატიური ხასიათი მიიღო.

ARAB NEWS: საქართველოს მარკეტინგი: მოგზაურობა თბილისში

საუდის არაბეთსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოცემა Arab News-ი საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ წერს.

გამოცემის უენალიტმა, შაისთახანმა საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურა.

„საქართველო არაბთათვის უცხო არ არის, 2022 წელს ამ ქვეყანას სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან 140 ათასზე მეტი რეზიდენტი ეწვია, აქედან ვიზიტორთა 79% საუდის არაბეთზე მოდის. სამსაათნახევარი ფრენის შემდეგ სპარსეთის ყურის რეგიონში საქართველოში ჩასული ტურისტი ევროპული და ამიური კულტურის ნაზავს აღმოაჩენს. რუსთაველის გამზინზე თქვენ იპოვებთ როგორც ნეოკლასიკურ



არქიტექტურას, მაგრიტანულს, ოპერის შენობას, ასევე საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელ შენობებს, რომლებმაც ტრანსფორმაცია განიცადეს და აქ კა-

ფეები ან კრეატიული სივრცეები მოწყობილი. მდიდრულ კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად სხვა მიზეზიც არსებობს, რაც ტურისტს

ამ ქვეყანაში იზიდავს. თოვლით დაფარული კავკასიონის მთები არასდროსაა შორს თქვენგან. მთელი წლის განმავლობაში კავკასიონის მთები მოთხილამურეებისა და სნოუბორდისტებისთვის სათავგადასავლო ადგილია. ადგილობრივები სტუმართმოყვარე ხალხია, აქ ადვილია გემრიელი კერძების აღმოჩენა და ხალხთან საუბარი“, – წერს შაისთახანი.

სტატიის ავტორი ალექსანდრე მეთეხი, აბანოთუბანი, ნარიყალა, თბილისის ბოტანიკური ბაღი, მშრალი ხილი და ბაზარი.

„ნარიყალას ციხე-სიმაგრის ქვემოთ აბანოთუბანია. აქ წარმოდგენილია ექვსი რელიგიური ინსტიტუტი. თქვენ აღმოაჩენთ ქართულ მართლმადიდებლურ ტაძარს, კათოლიკურ, სომხურ გრეგორიანულ ეკლესიებს, მეჩეთს, სინაგოგას და ზოროასტრულ ცეცხლის ტაძარს“, – წერს ავტორი.

Arab News-ს სოციალურ ქსელებში მილიონამდე გამოქვეყნებულია. გამოცემა პოპულარულია საუდის არაბეთში, არაბთა გაერთიანებულ სამეფოში, ქუვეითში, კატარში, ბაჰრეინსა და ომანში.



საქართველოს შესახებ გერმანული ავტორიტეტული გამოცემა წერს. ზამთრის სპორტის მოყვარულებს მოგზაურობას სვანეთში ურჩევს. „ის საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს, იქ, სადაც მთები ცას სწვდებიან. მას „კავკასიის გვირგვინსაც“ კი უწოდებენ“, – ასე იწყება სტატია სვანეთზე, სადაც აღნიშნულია, რომ სვანეთი, გარდა თვალწარმტაც მუნებისა, თავს იჩინებს კოშკებით, რომლებიც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებს წარმოადგენენ და რომ საქართველოს ეს კუთხე ზამთრის სპორტის მოყვარულებისთვის თავმჯდომარის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია.

სტატიის შემდეგობით გერმანელი მკითხველი სვანურ სამზარეულოსაც ეცნობა. კუბდარი აღნიშნულია, როგორც ამ მხარის ტრადიციული კერძი, რომელიც ხორციითა და სანელებლებით მზადდება.

სარჩო სუპერმარკეტის უორისა

ამის შესახებ CNN Travel-ის სტატიაში წერია, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო წვნიანებს ეძღვნება. რეიტინგი ოცი სხვადასხვა ტიპის წვნიანს აერთიანებს და მათ შორის ქართული ტრადიციული კერძიც მოხვდა.

ხარკოს შესახებ ვკითხულობთ, რომ საქართველოში ამ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წვნიანს თავისებურ გემოს ტყემლის სოუსი სძენს. სწორედ უმწიფარი ტყემლის სიმუხავე ამრავალფეროვნებს ცხიმისა და საქონლის ხორციითა და გატარებული ნივთებით მომზადებული კერძის გემოს, თუმცა ხარკოს არომატის განსაკუთრებულობას მაინც უცხო სუნელი ქმნის.

რეიტინგში ასევე მოხვდა: უკრაინული მონაში, ესპანური გასპაჩო, ფრანგული მუი-აბესი, ჩინური ლანჯოუ, მუსლიმურ ქვეყნებში პოპულარული ჩორმა და სხვა.




გაბატარეთ ახალი წლის დღეები თბილისში

ახალი წლის გასატარებლად ევროპის 20 საუკეთესო ქალაქს შორის, თბილისმა მე-5 ადგილი დაიკავა.

საქართველოს დედაქალაქი ისეთ ქალაქებს უსწრებს, როგორც ბიუსა – პრაღა, ედინბურგი, ლუბლინა, ბრიუსელი.



„გაბატარეთ ახალ წელი თბილისში, ევროპის ერთ-ერთ ტრენდულ და კოსმოპოლიტურ ქალაქში“, – წერია სტატიაში. გამოცემის თანახმად, დედაქალაქის არქიტექტურას მრავალფეროვანი საახალწლო განათებები კიდევ უფრო გამოჩინავს ხდის. უცხოურმა გამოცემამ თბილისში მოწყობილი საშობაო ბაზრობაც ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზად მორთულ ადგილად დაასახელა.



ღიასხლისი თაგვი

შელსელმა პენსიონერმა და ყოფილმა ფოსტალიონმა როდნი ჰოლმრუკმა აღმოაჩინა, რომ ყოველ საღამოს მის ფარულს თავი ალაგებს.

ჰოლმრუკმა შენიშნა, რომ ფარულში მიყრილი ნივთები დილაობით დალაგებული ხვდება. პენსიონერმა გადაწყვიტა გაერკვია რაში იყო საქმე და ფარულში კამერა დაამონტაჟა და საოცარი კადრები მიიღო. აღმოჩნდა, რომ თავი ყველა დაყრილ წერილმანს იღებს და მაგიდაზე, ყუთში ალაგებს. 75 წლის პენსიონერის თქმით, თაგვი მის ფარულს დაახლოებით 2 თვის განმავლობაში ალაგებდა.

„თაგვი ძირითადად ღამე ალაგებს. ჩემი აზრით, პროცესისგან სიამოვნებასაც კი იღებს“, – ამბობს ჰოლმრუკი.

ის ვარაუდობს, რომ თაგვი მის მიერ დატოვებულ წერილმანებს თხილულის შესანახად იყენებს, თუმცა ამ ეტაპზე შექმნილი მდგომარეობა ორივეს აწყობს – თაგვსაც და ადამიანსაც.

<p>უხსოვრი პაუზის ქარსი: აპუ ღოღარი - 2.6879; პირი - 2.9427; ბრიტანული ბირჟის სტრატეგია - 3.4198; 100 რუბლი - 2.9921; თურქული ლირა - 0.0898; აზერბაიჯანული მანათი - 1.5797; 1000 სომხური დრამი - 6.6812</p>	<p>აიონი 11 იანვრისთვის</p> <p>აღმოსავლეთი საქართველო: ბარი - ღამე -2, ღამე +8 შინაი რაიონები - ღამე -6, ღამე +4</p> <p>დასავლეთი საქართველო: ბარი - ღამე +1, ღამე +10 შინაი რაიონები - ღამე -10, ღამე 0 თბილისი: ღამე +2, ღამე +7</p>	<p>დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ:</p> <p>ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17</p> <p>ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru</p> <p>ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</p>
--	---	--

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS REPUBLIKA

ა.ნაირთლის №116 (დიდუბა ქაზა)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
 მოადგილე
მამუკა მამუკაძე
 597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

შემომცემლობითი
 ჯგუფი:

ალეკო ასლანიშვილი
ბია ალატონიშვილი
ოთარ ტურაბაიძე

სტილისტ-
 კორექტორები:
ნაირა კაკელია,
ბაია იორამაშვილი,
 ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
 ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

გამომცემელი:

შპს 100 – ახალი
 „საქართველოს რესპუბლიკა“
 გაზეთ „საქართველოს
 რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 36-00-35

იკავშირება სტამბა
 „კოლორი“
 ე. პაღლაშვილის №3

კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
 ს-323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ
 შეუქმნეთაპი მასალაზე
 დანიშნულია
 ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომსახურე ნომერი გამოვა ორშაბათს, 15 იანვარს